ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 170

« 19 » მაისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩა, ვარკეთილის დასახლება III მასივი, №7 კვარტალი, №7 კორპუსისა და შპს „ვარკეთილი 96"–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.079) სავაჭრო კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემულ 30.01.2012წ. №87 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 13 აპრილის №15 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 11 მაისის №04/5706 წერილის (AR1462812) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 იანვრის №87 ბრძანებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩა, ვარკეთილის დასახლება III მასივი, №7 კვარტალი, №7 კორპუსისა და შპს „ვარკეთილი 96"–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.079) სავაჭრო კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო ერთეული: №01.19.20.024.126. გრგ-ს საპროექტო ტერიტორიის ჯამურ ფართობად 9399 კვ.მ.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი